

თითო შაგირდს წელიწადში მხოლოდ 3 მანეთი ეძლევა ჯამაგირი მუშაობის ფასი. რადგანაც ამ შკოლაში თითქმის ყველა ღარიბების შვილები არიან, ამიტომ, დასწავლიან ცოტა რასმე თუ არა, იმწამსვე გამოჰყავთ მშობლებს და სხვა ოსტატებს აბარებენ, რომ რა არის, მეტი ჯამაგირი აიღონ შვილებისა. ეს, რასაკვირველია, ძალიან ენებს თვითონ შკოლას, რადგან იქ კარგა მსოდნე შეგირდები არ რჩებიან და მამასადაც ცოტა შემოსავალი ექნება, მეორე მხრით ანებს თვითონ შაგირდებსაც, რადგან არ ასრულებენ სწავლას.

სხვა ქვეყნებში, სადაც კი ამისთანა შკოლებია გამართული, ყველგან შაგირდების ნამუშევრიდამ შემოსავალს თანასწორად ჰყოფენ და ან წლის დამლევა და ან ოთხ-თვეში ერთხელ ურიგებენ შაგირდებსა. ამისთანა წესი რომ შემოიღონ აქაურს სახელოსნო შკოლაში, ჩვენი აზრით, მაშინ იმის საქმე უკეთ წაივლიდა.

ერთის მხრით საზოგადოების გულგრილობით და მეორეს თვითონ შკოლის ზოგიერთი ნაკლებეანებით აიხსნება, რომ იქ ჯერ-ჯერობით მარტო 25 შაგირდი სწავლობს. ამის თანა შკოლებს ჩვენში, როგორც ბუზი თაფლს, ისე უნდა ეხვეოდნენ, თუკი ეს შკოლები კარგათ არიან გამართულნი. ქალაქის დეპუტატებს, როგორც გავიგანეთ, მოლაპარაკება აქეთ ახლა, რომ ქალაქის შემოსავლიდამ ამ შკოლის სასარგებლოდ 1000 მანეთი შესწირონ. ღმერთმა ქნას, რომ მატერიალურ შემწეობას გარდა, ზნეობითი თანაგრძობაც განეცხადებინოს ჩვენს საზოგადოებას ყოველი ამისთანა, იმისთვისვე სასარგებლო, საქმეებისათვის.

მ ა ე რ ა ჯ ა ა ბ თ ა რ ტ ე ლ ი ჩ ე ე ნ შ ი

ვისაც თვალ-ყური უდევნებია და დაჰკვირვებია რუსეთის მუშა-ხალხის ეკონომიურ მდგომარეობას, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დროებში, ან რუსულ ლიტერატურაში მაინც უკითხავს რამე ამ საგანზე, დათანხმდება და შეუძლოდმოდ იტყვის, რომ დაბა-

ლი ხალხის კეთილ-დღეობამ, ეგრეთვე დიდი მემამულეებისამაც, და მათმა ეკონომიურმა გაუმჯობესობამ საგრძნობლად წინ წაიწია და თან და თან იმატა. ამგვარი მათი შრომის შემსუბუქება და შამოსავლის გამრავლება, მამასადაც კეთილდღეობაც, უნდა მივხვროთ, უეჭველად, იმ კეთილს და დაუფასებელს დაწესებას, რომელსაც ეძახიან მწარმოებელთ ამხანაგობას, ანუ არტელს, ასოციაციას (*продовольственная артель, ассоциация*). თუმცაღა ეგრეთ დაწესებები ჯერ ისე მტკიცედ და მარჯვედ არ არიან რუსეთში ფეხ-მოდგმული, როგორც დასავლეთის ევროპაში, მაგრამ ცხადათ და აშკარათ უმტკიცესს ყველას, რომ ეგრეთ დაწესებები არის ერთი უმთავრესი იმ დაწესებებთაგანი, რომელიც აუქმობს მუშა-ხალხის მდგომარეობას და გამოიწვევს მათში უფრო ბევრს სურვილს და ჯანს, რომ თან და თან გააღიღოს სამშლადირი თავის შამოსავლისა. ეს ამხანაგობა ანუ არტელი იმაში მდგომარეობს, რომ რამოდენიმე მუშა-ხალხი—რაც მეტია, ისა სჯობს,—შეერთდებიან ერთად იმ აზრით, რომ აწარმოვან რამე და იმუშავონ ერთად შეერთებულის ღონის-ძიებით და საზოგადო ხარჯით. ისინი შემოიტანენ საზოგადო კასაში ზოგი ფულს, ზოგი სხვა რამე საქონელს და ზოგი თავის შრომას. ამგვარს ერთად, საზოგადო მუშაობაში ის სარგებლობა არის, რომ ნამუშევარი ქირა ერგებათ ერთად სულ-ყველას და თანასწორი, დრო წაუფათ ბევრად ნაკლები, ვიდრემ მარტო-ხელს, სამუშაო მასალებს ყიდულობდენ ერთად პარტიობით იქ, სადაც უფრო იაფია და ათასი ამისთანები.

რასაკვირველია, ამგვარმა უბრალო და დაურღვეველმა ჰემარტებამ თავისი ცხადის სინამდვილით ბავრი მომხრეები შეიძინა, განსაკუთრებით სწავლული საზოგადოებების წრეში, რომელნიც სცილობდნენ თუ საკუთარის მაგალითით, თუ ლიტერატურაში ჩაგონებით დაერწმუნებიათ გაუნათლებელი მათი მოძმე, რომ საზოგადო და შეერთების შრომაში არსებობს საფუძველი მათის კეთილდღეობისა. მართლადაც, ამ ჰემარტებამ ძრიელ მალე იდღეგრძელა და დასვა თავისი შეუქმნადი ბეჭედი კეთილ-მომარულეებისა. ჩვენ

არ მოყვებით ლაპარაკს იმ არტელებზე, რომელნიც ძრიელ მოკლეს ხანში გაქრენ თუ საქმის უტოდინარობით, თუ უყურადღებობით და ანუ სხვა რამე გარეგანი მიზეზებით; აგრეთვე იმ არტელებზე, რომელნიც თუმცაღა არსებობდნენ, მაგრამ ძრიელ სუსტ საფუძველზე და მათ წყობილებაზე ძრიელ ცოტაცობები გვაქვს, მაგალითად, მთარგმნელი ქალების არტელი, რომელიც დაფუძნდა პეტერბურღში 1864-ს წელს, ანუ კიდევ წიგნის მკინწავი ქალების არტელი, დურგლების და ბაშმანჩიკების არტელები და სხ. ჩვენ დავასახელებთ მხოლოდ იმ არტელს, რომელიც უფრო გონიერულად დაარსდა რუსეთში და რომლის გამარჯვება თან და თან ხმა-მალლა ისმის,—ჩვენ ვამბობთ მე ყველ ე ბ თ ა რ ტ ე ლ ზ ე .

რადგანაც ამ საგანზე ბევრჯერ იყო ნათქვამი «დროებაში», იმისთვის, ეფიქრობ, «დროების» მკითხველებს კარგათ უნდა ახსოვდნენ, რომ მეყველებთ არტელის დამაარსებელია უ. ვერეშაგინი; ისიც უნდა იცოდნენ, ვინ არის ეერეშაგინი და რამდენი ტანჯვა და შრომა გადაიტანა იმან თავის აზრის დასაარსებლად; მამასადაც ჩვენ საჭიროდ არ ეხედებოდნენ, ხელახლად გავიმეორებთ ერთი და იგივე. ჩვენ მხოლოდ ვიტყვი იმას, რომ პირველი მეყველებთ ამხანაგობის ქარხანა დაარსდა უ. ვერეშაგინმა 1866-ს წელს ორმოცდაათის ფურის რძით. ამავე წელს ამ ქარხანის შემოსავალი, ხარჯს გარდა, იყო 390 მანეთი, მეორე წელს სამი სხვა ქარხანა მოემატა და ოთხი ქარხნის შემოსავალი იყო 2,800 მანეთი. 1868-ს წელს თორმეტ ქარხანამდის გაშენდა სხვა და სხვა სოფლებში და იმავე წელს ყველა თორმეტი არტელის წევრებს ერგათ 8,000 მანეთი. ახლა კი სულ ოცდახუთი ქარხანაა სხვა და სხვა გუბერნიებში: ტვერის გუბერნიამა—9, ნოვოროდის გუბერნიამა—3, იაროსლავის—10, ვიატკის—3. 1870 წელს ამ ოცდახუთი ქარხანის ნაწარმოები ყველი, ერბო, თუ სხვა რამე შემოსავალი იყო 600,864 მანეთი და 33³/₄ კაპ. ანუ საშუალო რიცხვით, სადაც ეს არტელე-

ბია, თითო ფური წელიწადში ამდენს თავის პატრონს 25 მანეთს, ხარჯს ფარდა, წმინდა შემოსავალს.

აქედგან ცხადად ვხედავთ, რომ მეყველებთ არტელი დღე და დღე მატულობს როგორც რიცხვით, ეგრეთვე შემოსავლით, თან და თან უადვილდებთ არტელის წევრებს სახსარი მათის შამოსავლისა და ძრიელ ადვილად იხდიან ერთის ფურის შემოსავლიდგან წლის სახელმწიფო და საბატრონო გარდასახლს; მამასადაც თან და თან ბოლო ეღება იმ უსინიღისო ფულის გამსესხებლებს, სპეკულიანტებს, რომლებიც არტელის შემოღებამდის სარგებლობდნენ გლეხების გაჭირვებით და სიღარიბით და ასესხებდნენ ფულებს გასაოცარი სარგებლით, ბოლოსკი ვალში ოჯახის საჭირო სამკაულს უყიდოდნენ. ამასთან ესეც უნდა დაუმატოთ, რომ ყველა არტელის წევრები, ფულის მიღების დროს, 5% იქავე სტოვებენ საზოგადო კასაში, რომლითაც გროვდება კარგი ძალი ფული (მე ვიცი ქარხანები, სადაც შეიდი-რეა ათასი მანეთია საზოგადო ფული), საიდანაც შეუძლია თითოეულს წევრს გაჭირვების დროს გამოიტანოს 20-იდგან 200 მანეთამდის.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მომავალშიაც არ დასუსტდება მეყველებთ არტელი, როგორც ზოგიერთი სხვა ამისთანები და მალე შეიძლება მიავლიოს იმ სისრულეს, როგორც ევროპაშია, მით უმეტეს, რომ მთავრობამ, ეგრეთვე მეურნეობის საზოგადოებამ, სხვა და სხვა ერობამ და კერძო პირებმაც მიიღეს დიდი მზრუნველობა იმათ გაუმჯობესობაში: მაგალითად, 1871 წლიდგან უმადლესის ბრძანებით უნდა ექლიოს უ. ვერეშაგინს ექვსის წლის განმავლობაში 15,000 მანეთი ყოველწლივ მეყველებთ შკოლის გასამართავად. ამას გარდა ტვერის ერობამ მისცა უფასოდ ერთი დიდი სახლი შკოლისთვის და 5000 მანეთი იმის გასამართავად. თავისუფალ ეკონომიურმა საზოგადოებამ პეტერბურღში პირველიდგანვე გადადვა ამ საქმისათვის 25,000 მანეთი, რომლისაგან შეუძლიანთ აიღონ ვალად, ძრიელ ცოტა

დ ა რ ჩ ე ნ ე ნ .

ავილოთ მესამე მაგალითი. თფილისში, ქუთაისში და ზოგიერთ უფხუდის ქალაქებში ცხოვრებენ ფრანგები. ზოგიერთისაგან გამოგონია ამათხედ ლაპარაკი: ფრანგები არიან და არა ქართველებიო. ფრანგობა სარწმუნოებას ეთქმის და ფრანგი უნდა ან პოლშელი იყოს, ან იტალიელი, ან სხვა ხალხის კაცი. აგრეთვე სომეხიც შეიძლება ფრანგების სარწმუნოებისა იყოს, ქართველიცა. აქაურს ფრანგებში ბევრი წმინდა ქართველია. ქართველი კაცი სხვა და სხვა მიზეზებისაგან ზოგჯერ თუ სარწმუნოებას იცვლის ხოლომე, თავის დღეში არ ჰკარგავს ენასა. აქაური ფრანგებიცა, ქართველთ ჩამომავლობისა ვინც არიან, წმინდა ქართულის ენით ლაპარაკობენ და ნამდვილი ქართველები არიან.

ჩვენ რომ მართლმადიდებლები ვართ და ისინი კათოლიკები, აქედამ არ გამოდის, რომ ჩვენ ვიყოთ ქართველები და ისინი კი არა. როგორც ნემეცები ზოგი პროტესტანტი და ზოგი კათოლიკე, ისე აქაც უმეტესი ნაწილი მართლმადიდებლებია, და ზოგიწილი კათოლიკე.

ავილოთ ერთეული, უადრესი მაგალითი, ჩვენი ხალხის თავს გადასავალი ისტორიის დაწყებიდამ მოყოლებული ამ ჟამამდე. რაც ქვეყანაზედ დიდი ხალხთა მოძრაობა მომხდარა, საქართველოს თითქმის არც ერთი არ ასცილებია: ალექსანდრე მაკედონელს თავისის რაზმებით, ლანგ თემურს თავისის ამაო-

რებელი ჯარებით, ჰუნებს, გოთებს, სკვიტებს, მონგოლებს, თათრებს, ვინ იცის—რა ტომის ხალხთა გადაუკლიათ და გადმოუყვლიათ საქართველოზედ. ამას გარდა უკანასკნელ დრომდინ ერთ მხარედამ ერთი დიდი მტრული სახელმწიფო ოსმალეთი, მეორე მხრიდამ—მეორე, იქნება კიდევ უფრო მტრული სახელმწიფო—სპარსეთი, ხან ერთი და ხან მეორე, ხან ცალ-ცალკე და ხან ერთათ, დაეცემოდნენ საქართველს და იკლებდნენ აქაურობას: ყლუტა, წყვეტა, ვი-ვაგლახი იქნება არც-ერთ კუთხეს დედამიწისას არ უნახავს და არ გამოუვლია იმდენი, რამდენიც გამოუტლია ჩვენს საქართველოს. მაგრამ ამ ბედში და უბედობაში, ამ საზინელს ბრძოლაში, ქართველთა ხალხმა დაიცვა ის ენა, რომლითაც ლაპარაკობდა ვახტანგ გორგასლანი და არჩილი, დაეით აღმამწებელი და თამარ მეფე, რომლითაც დასწარა რუსთაველმა «ფეფხვის ტყალსანი» და ვახტანგ მეფემ სამართლის წიგნი ის ენა, რომლითაც ამ ჟამათაც ლაპარაკობს ქართველთა ერი.

ასეთი ხასიათი აქვს ქართულ ნაციონალობას: ენა მტკიცეთ უჭირავს და თუ ზოგჯერ ისეთი ძალი დასდგომია რამე, რომ დამჩაგრელისათვის დათმობა დასჭირებია რისიმე, ისევ რჯულსა სთმობს ზოგან და ზოგან, და ენას კი არსად არასოდეს ვერა შეაცვლევინებს რა. ახლა ენახოთ, რა მოქმედება აქვს ქართველთ ნაციონალობას სხვა ნაციონალობაზედ.

ავილოთ ებრაელნი. აქაური ებრაელი წმინდა ქართულის ენით ლაპარაკობს, ბევრი ამათში კარგათაც ლაპარაკობს. სიტყვების გამოთქმაში კაცი ვერ შეატყობს ამათ, თუ ებრაელნი არიან. ამასთანავე ებრაული აქაურმა ებრაელებმა სულ არ იციან, ასე რომ სრულიად გაქართველებულნი არიან, სხვა ქვეყნებში კი ბევრგან ებრაელნი თავის ენას ხმარობდენ და პოლშაში სულაც არ არიან გაპოლაკებულნი ან რუსეთში გარუსებულნი, ან გერმანიაში განმეცებულნი.

ავილოთ სომეხნი.—სოფლებში მცხოვრებნი სომეხები ქართველთა შორის, ქართლში, კახეთში, იმერეთში, ყველგან სომეხები სრულიად გაქართველებულნი არიან: არამც თუ ქართული იციან, სომხურისა ინიცი არ გავგებათ. ენითა და ხასიათით ესენი წმინდა ქართველები არიან. სარწმუნოება კი მკვიდრათ უჭირავთ:—სოფლებს გარდა, გორელი სომეხები, ქუთაისელი სომეხებიც თითქმის გაქართველებულნი არიან, ასე რომ სომხური ცოტამ იცის იმათში. ტფილისში, სიღნაღში, თელავში და სხვაგან სომეხებმა თითქმის სულ-ყველამ ქართული იციან და ერთმანერთშიაც ნამეტნავათ ქართულს ლაპარაკობენ, სარწმუნოება კი თავისი რჩებათ.

ავილოთ ნასამხარი ფრანგები:—ნამეტანი ნაწილი ამათგანი ქართველობს, ესე იგი იმას ამტკიცებს, რომ ქართველები ვართო. ასეთი მოქმედება აქვს ქართულ ნაციო-


ნალობას სხვა ნაციონალობაზედ: ამათს სარწმუნოებას არ ეხება ქართველთა ნაციონალობა; მხოლოდ თავის ენას ათვისებს და ასე რიგათ აქართველებს სხვა ტომის ხალხსა.

ამაში მდებარეობს უპირატესი განსხვავება ქართველთა და სომეხთა ტომში. ქარველი სადაც გინდა, საქართველოშივე, თუ ოსმალეთში, ქრისტიანი გინდა მართლმადიდებელი, თუ ფრანგი, თუ მამადიანი,—ყველგან იგივე ქართველი რჩება, თავისის ქართულის ენითურთ. სომეხი ყველგან თავის სარწმუნოებას მტკიცეთ ადგია, მაგრამ საქართველოში ნაციონალობას ჰკარგავს იმითი, რომ ქართველდება, ესე იგი, ქართულ ენას ითვისებს,—ან ამის მიზეზით ქართველთა ნაციონალობას დიდი მოქმედება აქვს სხვა ნაციებზედ: ქართველთა ნაციას ბევრი სომეხი, ბევრი ებრაელი, ბევრი გაუქართველებია-სომეხთა ერთი ქართველი, ან ერთი ებრაელი, ან თათარი არ გაუსომეხებიათ.

ამიტომ ქართველთა ერის გაფრანგება, ან გათათრება, ან გასომეხება—შეუძლებელია. მე მინდოდა ამ სტატიაში მხოლოდ წარმომედგინა მკითხველთათვის ის ფაქტები, რომელიც მიიპყრობდენ ჩვენს ყურადღებას. ამ ფაქტების ახსნას, მიზეზების განჩევას და გამოკვლევას მეორე სტატიაში შეუდგები.

ნ ა ჯ . ყ ი ვ ა ნ ი ა

თფილისი, 1872 წ. მარტის 26.



სარგებლო და ექსპლუატაციის ვადით, ყველას ვინაც უნდა შეეყვანებინა ამხანაგობის გამართვა. ამგე საზოგადოებამ თავის ხარჯით გაუკეთა მეყველეებთ ამხანაგობას პეტერბურღში დეპო ანუ მალაზია, სადაც ისევედნა მათი ნაწარმოები. 1868 წლიდან ტყვის ერობამ გარდაღვა 5000 მანეთი, რომლისაგან შეედლოთ ავლოთ სესხი ქარხნის გასაუმჯობესებლად და 7,500 მანეთი ახალი ქარხნების გასაშენებლად. ამგე მაგალითს მიჰყვა ბევრი სხვა ქალაქების ერობაც, მაგალითად, იაროსლავის ერობა, რომელიც აძლევდა და ესლაც აძლევს პრემიას (ჯილდოს) 500 მანეთს ვინც პირველს ქარხანას გამართავს, 300 მ. ვინც მეორეს და 200 მანეთს, ვინც მესამეს. ამასთანავე ყოველ წლობით აძლევს 600 მანეთს ათი მაგირდის მეყველის გასაზრდელათ—და ბევრი სხვა. კერძო პირებმაც მიაკციეს ყურადღება ამ საქმესა და იმათაც მიიღეს შრომა, რომ დახმარებოდნენ ევრეშჩაგინს საქმის უფრო მარჯვეთ წასაყვანად; მაგალითად, უფ. ბლანდოვი და ბირულოვი დიდის მუყაითობით ამრავლებენ ქარხანებს იაროსლავის გუბერნიამში.

დიდათ სასურველი და სასიამოვნო იქნება, რომ ჩვენც მივბძოთ ევრეშჩაგინის მაგალითს და დავაარსოთ საქართველოშიც მეყველეებთ არტელი, ამხანაგობა, რომ ამითი გაგვეღვიძებინა, როგორც დიდ მემამულეებში, აგრეთვე დაბალ ხალხში, სურვილი ერთად საქმის დაწყებისა და საფუძელიანი შრომისა; ეს საქმე, ვფიქრობ, აქაც დიდს სარგებლობას შესძენდა მწარმოებლებს, მით უმეტეს რომ ჩვენი საქართველოს ბუნების სიუხვეს, როგორც საძოვრით, ეგრეთვე საქონლითაც რუსეთი, ვიტყვი თამამად, ევროპადეს ვერ შეედრება, განსაკუთრებით თუ ჯეროვანი ყურადღება იქმნა მიქცეული ამ საქმეზე და თუ საფუძელიანთ დაარსდა. რაიცა შეეხება შემწეობას და დახმარებას ამ საქმეში მართებლობის, თუ საზოგადოების მხრით, მგონი, არც ჩვენ დაერჩებოდით უყურადღებოთ და შეუწყენვლად. უძველად, როგორც მართებლობა, ეგრეთვე სამეურნეო საზოგადოებაცა მიბაძვიდა რუსეთის საზოგადოებას და ჩვენც დავგემელებოდა ამ საქმის რიგინად წასაყვანზე, რადგან ჩვენი მხარე ყველა ბუნებით სიმდიდრესთან, ძირელ გაცივრებაში და სიღარიბეშია და მეტად საქიროებს ამგვარ დაწესებებს.

ამჟამად ჩვენში მეყველეებთ ამხანაგობის დაფუძნება იმ რიგით, როგორც რუსეთშია, ჩვენდა სასიამოვნოდ, იკისრეს კახეთის შემოძლე მემამულეებმა: თ. გ. ჯორჯაძემ, ლ. ჯანაძემ, ვ. მაყაევამ და სხ., რომელნიც მხურვალის გულით მზათ არიან და სურთ ამ კეთილ საქმეს მისცენ პირველი დასაწყისი და დაარსონ თავიანთ მამულში: იმათ მით უფრო არ გაუძნელდებთ ამ საქმის დაწყება, რომ მეწველი საქონელი კარგი ძალი ჰყავთ, იმათი საძოვარი და სათიბი ადგილები თავისი მშენიერი ჰაერით და სივრცით სრულ ნებას აძლევს, რომ საქონლის მოვლას ხელი მოაკლდონ და დიდს შემოსავლასაც უქაღის მომავალში. ამასთან ისინი მზათ არიან გლცხებიც შეიამხანაგონ ამ საქმეში, რადგანაც ფურები ერთად სძოვენ იმათ ფურებთან და თან დარწმუნებულნი არიან, რომ ერთად საქმის დაქერა უფრო ცოტა ხარჯს მისცემს საქმის წარმოებას, მაშასადამე მეტს შამოსავლას. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ყველაფერი ჯერ უშინჯავი ახალი რამ უცხოდა და მოუხერხებელ საქმედ იჩვენება ყველას, განსაკუთრებით იმას, ვინც გამოუცდილი და უცნობია ყოველგვარი ახალი საქმის დაწყებაში. თუმცაღა ზემოთხსენებული მემამულეები დარწმუნებულნი არიან,

რომ არტელის გამართვით ისინი თუ ბევრს არა რამოდენიმეს მიხედვით პირველს წლებში და მასთან მათს საქონელს და ადგილებს გააუმჯობესებენ, მაგრამ ის აზრი მიხედვით თან მიჰყვებათ, როგორც ყოველთვის: «ვი თუ ტყუილი შრომა და ხარჯი მოგივიდესო!»

ამ შემთხვევაში პირ და პირ ვალი მართებს იმ ადამიანებს ვისაც ან უნახავს, ან წაუკითხავს, ანუ გაუგონია რამე ამგვარ არტელეებზე და მათ სარგებლობაზე, რომ თავიანთი აზრის გარდაცემით ანუ სიტყვით, ანუ ლიტერატურაში წააქვზოს და შეახლისოს ამგვარი არტელის დიდ სარგებლობაზე. ისინი მოვალე არიან იფიქრონ რამე ამ საზოგადო სასარგებლო საქმის აღსრულებაზე და გარდასცენ საფუძელიანი მოსაზრება თავის თანამოძმეებსა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, სულ წინააღმდეგად გამოდის. ზოგიერთები, რომელთაც გაუგონიათ რამე ამ არტელეებზე, მაგრამ, როგორც ეტყობათ, არ სურვებიათ, საუბედუროთ, საფუძელიანთ გაგება მათის სარგებლობისა, იმას ქადაგებენ თურმე, როგორც გავიგეთ, ვითომც საქართველოში მოუხერხებელი საქმე იყოს არტელი და ვითომც ჩვენში საქონლის მოვლა და იმათგან რამე სარგებლობა შეუძლებელი იყოს და ათას ამისთანაებს.

იმისთანა უსაფუძელი და შემცდარი ჰაზრების გავრცელებას ჩვენში, მგონი, ამ უკანასკნელ დროს ძალიან დაეხმარა უფ. ენგელგარტის სტატია მეყველეებთ არტელეებზე, რომელიც ერთს რუსულ ჟურნალში იყო დაბეჭდილი. ამ სტატიაში უფ. ენგელგარტი ამტკიცებს, რომ არტელით ყველით კეთებას ჯერ-ჯერობით ზოგიერთ ალაგას უფრო მომეტებული ვნება მოაქვს რუსეთის გლეხებისათვის, ვიდრემ სარგებლობაო. ამ ჰაზრს, სხვათა შორის, იმით ამტკიცებს, რომ გლეხებს, რომელთაც თითო-ორალი ძროხა ჰყავთ, გასასყიდი რძე სრულიად არა აქვთო; რასაც მოსწველიან, თვითონვე მოუხდებოთ; და თუ რძეს ჰყიდიან ქარხნებზე და თითო-ორალი გროშს იგებენ, ამით უფრო მომეტებულ შიანს ხედავენ ისინი, რადგან თავიანთ სხეულს მარგებელ საქმელს აკლებენო. ეს მოსაზრება ერთის მხრით ჭეშმარიტია, რადგან მართლაც რომ ზოგიერთ რუსეთის ქარხანებს სრულებით ვერ მოაქვთ სარგებლობა; მაგრამ ეს ითქმის მხოლოდ იმ ქარხნებზე, რომელნიც უბალახო ადგილებზეა გამართული და რომლის მეპატრონე გლეხებს, ამ უბალახობისაგამო, არ შეუძლიანთ ბლომათ იყოლიონ ფურები.

მაგრამ ჩვენი მხარე საზოგადოდა და განსაკუთრებით კახეთი, სადაც ახლა აპირებენ ამისთანა ქარხანის გამართვას და სადაც თვალგაღწევენელი საძოვარი მიწდგრები და მთებია—განა ამისთანა მდგომარეობაში იმყოფება? ვინ დამარწმუნებს, რომ ის მეპატრონე, რომელსაც 100-200-მდი ჰყავს ფური, ან ის გლეხი, რომელსაც ხშირათ 10-20-მდი მეწველე ძროხა ჰყავს,—რომ ამისთანა მეპატრონე და გლეხი თვითონვე, თავის ოჯახისთვის ხარჯადეს შემოსულ რძესა, რომ ამისთანა ადგილებში არტელის გამართვა უანგარიშო სარგებლობას არ მოუტანს საქონლის მეპატრონესა?

ნ. ახვლედიანი

სოფელი გავსია
(«დროების» კორესპონდენცია.)

სოფელი გავსია იმყოფება ალაზნის მარჯვენე მხარეს, რომელსაც გარშემო ტყით შემოსილი გორები არტყია. ეს სოფელი გარედამ და შეგინდამ იმ ნაირად არის ხეხილებით შემოსილი, რომ კაცი, სინამ შიგ სოფელში

არ შევა, ვერ გაიგებს—თუ აქ სოფელი არისო. ალაგი საშინელი ქობიანია. შიგ შეაგულ სოფელში შრავალი აყროლებული გუბებია, რომლებიდაც ცული სური ადის და ჰაერს აფუქებს. ამის გამო გაზაფხულდება თუ არა, მაშინათვე მთელ ამ სოფლის მცხოვრებლებს ციებ-ცხელება მოედებათ ხოლმე; ასე რომ თითო უბანში, რომ არ შემრცხვს, ათს-თხუთმეტს ციებ-ცხელებიანს ნახამთ ავათ-მყოფს. ციებ-ცხელების გარდა, აქ გადამდები ქირიცი ძრიელ ხშირად იცის, რისა გამოც ხალხი ძალიან იხოცება. ამ სოფელში დაბერებული კაცს ძრიელ იშვიათად ნახამს კაცი; მომეტებული ნაწილი გავსის მცხოვრებლებისა ძრიელ ადრე სტოვებს ამ წუთი-სოფელს და მიდის საიქიოს. მიზეზი ამ სოფელში ავათმყოფობის გავრცელებისა, ჰაერს გარდა, აგრეთვე ამათი ბინძური ცხოვრებაც არის. აქაურ მცხოვრებლების ფეხებზე კაცი თავის დღეში ფეხსაცმელს ვერა ნახავს; განსაკუთრებით მღვდლობითი სქესი ზამთარ-ზაფხულს სულ ფეხშიშველა დაიარება. ასე გაშინჯეთ, ზოგიერთა აქაური ქალი ჯვარის-წერის დროსაც კი ფეხშიშველა არის ხოლმე.

იქნება მითხრას მკითხველმა: შეძლება თუ კი არ ექნებათ, მამ რა ქნას, რომ ფეხშიშველა არ იარონო? ამაზე მე შემძლია გიპასუხოთ. რომ ამ სოფლის მცხოვრებლები, როგორც შეეფერება გლეხ-კაცს, ძრიელ შეძლებიანი არიან: გარდა იმისა, რომ მოსავალი ბევრი მოსდით, შინაური მოშენე საქონელიც ძრიელ ბევრი ჰყავთ: მაგ. ღორის, ცხვარის, კამბების და სხვა მოშენე საქონლის ფარები ყველა სოფლის მცხოვრებელსა ჰყავთ. არც ფულით არიან ნაკლებად ამ სოფლის მცხოვრებლები: სულ უკანასკნელ გლეხს შეუძლიან ხელ და ხელ ათი თუმანი გამოიტანოს.

ამნაირათ, თუმცა ამ სოფლის მცხოვრებლებს კარგი ცხოვრება აქვთ და შეუძლიანთ ფაქიზათ იცხოვრონ, მაგრამ ამათი ცხოვრება მიხედვით ისე უფერულათ და უფაქიზათ მიდის, როგორც იმ კაცისა, რომელსაც არაფერი არა აქვს რა დიან, შეძლება აქვსთ, მაგრამ არ იციან, როგორ მოიხმარონ, არ იციან, რა-ნაირად ამოქმედონ თავიანთი ფული, რომ ერთი ორათ ვახადონ. აქაურ მცხოვრებელს რომ უთხრა: კაცო, რას გიძევს ფული სიჭირში ხელსახოცში გამოკრული და არ ამუშავებო?—ის მაშინვე გეტყვის: მე ხომ სამეხიარო ვარ, რომ გავასესხოვო... თითქო ფულს მარტო ვასესხებთ შეუძლია ფულის მოგება!?

დიანისე ვაჭრაძე.

ოდესის კეთილშობილთ კრების ზალაში თებერვლის 23-ს ყოფილა ბალი შემახლებების სასარგებლოთ. ამ ბალზე, როგორც ერთს იქაურს ვახეთში სწერენ, 2,574 მან. შეუტრებათ.

უმთავრეს პეტერბურღის ინჟინერის სამართველოში შემდგარა კამისია სხვა და სხვა სამინისტროების წევრებისაგან, რომელმანც უნდა განიხილოს პროექტი ფოთში პორტის გაკეთების თაობაზე. ერთი პროექტი არის, რომ რომანის ერთსა-და-ერთს შტოზე უნდა გაკეთდეს პორტიო, და მეორე—პალიასტომთანო, ფოთის სამხრეთით.

მარტის 8-ს იყო აქაური სამეურნეო საზოგადოების წლიური სხდომა, რომელზედაც სეკრეტარმა წაიკითხა გასული წლის ანგარიში და მოთანამდებე პირები ამოიჩინეს. საზოგადოების პრეზიდენტათ ისევ მ. ი. ასტაფიევი (სახელმწიფო ქონების მმართველი) ამოიჩინეს, ვიცე-პრეზიდენტათ—კ. ქ. მამაცოვი; ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატათ—დ. ი. ყიფიანი; რჩევის წევრებად: ბაბოვი, გერ-

სეენოვი, პენჩინსკი და ი. მამაცოვი სწერენ ტრათ სიტოვსკი და კახანაშვილი—ლევეცკი.

ამ სხდომაზე სხვათა შორის უფ. გ. წერეთელმა გამოთქვა რამდენიმე აზრი ამ საზოგადოების დანიშნულების თაობაზე. უფ. წერეთლის აზრით, ეს საზოგადოება ჯერ-ჯერობით სრულიად ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, რადგან იმას ჩვენი მხარისათვის თითქმის არავითარი პრაქტიკული სარგებლობა არ მოაქვს. იმან უჩვენა რამდენიმე ღონისძიება და სახსარი, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ჩვენი სამეურნეო საზოგადოებაო; თუ უნდა, რომ მხარეს სარგებლობა მოუტანოსო. შემდეგში უფრო დაწერილებით მოვილაპარაკებთ როგორც უფ. გ. წერეთლის წინადადებაზე, აგრეთვე ამ ჩვენს სამეურნეო საზოგადოებაზედაც.

მარტის 14-დამ დაწყო სხდომები ქალაქის დეპუტატებისა. როგორც «კავკაზში» სწერენ, ჯერ-ჯერობით ამ სხდომებზე ჰქონიათ მოლაპარაკება 1) ქალაქის ვაზით განათებაზე და 2) სხვა და სხვა ქალაქის ადგილებში წყლის გაყვანის თაობაზე. ულაპარაკიათ აგრეთვე იმაზე, რომ პირველ-დასაწყისი შკოლა გაემართოთ ქალაქის მცხოვრებლებისათვის საზოგადო ხარჯითაო.

რუსეთი

ფინლანდიდამ «ბირჟის უწყებებში» იწერებინა, რომ გელსინგფორსის სიემში (კრებაში) ოთხო წოდების წარმომადგენლებს (ახ. ნაურობისას, მღვდლებისას, ეპკობისას და გლეხებისას) შეუტანიათ წინადადება, მმართველობას ეთხოვოთო, რომ ფინლანდიაში ბეტდვის თავისუფლება იყოსო. ამას გარდა ერთს დეპუტატს შეუტანია აგრეთვე წინადადება, რომ განვიხილოთ ჩვენი ქვეყნის შე, მოსავალ-გასავალიო (ბიუჯეტი); მაგრამ ახ. ნაურობისა და სასულიერო წოდების თავსმჯდომარეებს უარი უთქვამთ, ამ საგანზე ლაპარაკი არ შეიძლებაო; ამ უარის თქმას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, რადგან თვითონვე დეპუტატები თუ დათანხმდენ უთავსმჯდომარეოთაც შეუძლიანთ ყოველს საგანზე მოლაპარაკება და თავის გადაწყვეტილების დადება.

სახალხო განათლების მინისტრს სახელმწიფო რჩევაში შეუტანია დასამტკიცებლათ ახალი კანონის პროექტი, რომელიც შეეხება რუსეთში სახალხო შკოლების გავრცელების საქმეს. ამ პროექტში მოხსენებულია თურმე იმ გუბერნიებში შკოლების გასწის თაობაზედაც, რომლებში ერობის წესი ჯერ არ არის შემოღებული.

პეტერბურღში დაწესდა შარშან ერთი პატარა საზოგადოება, რომელსაც შემდეგში უძველია დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ იმის მოთავეებმა კარგათ წაიყვანეს საქმე. რამდენთამე უბრალო მოხელეთა განიზნახეს შარშან ყოველ წლობით არა ნაკლებ ერთის მანეთისა გამოღება და ამ ფულებით სახელოსნო ბანკის (კასის) შედგენა. კასის დანიშნულება ის არის, რომ გაჭირების დროს დაეხმაროს თავის წევრებს; მაგალითად, ავათმყოფობის დროს ფული ასესხოს, ადგილი უშოვნოს, მოხუცებულებს და ახალგაზდებს ყური უგდოს და სხ. ერთს წევრს 15 მანეთზე მეტს არ მისცემენ სესხათ. ამ წლის პირველ იანვარს ამ კასაში ყოფილა წევრებისაგან შემოტანილი 4,320 მანეთი. წევრების რიცხვი ჯერ-ჯერობით სულ 1,241 კაცია.

